ტოპონიმალქცეულ მყოფადის მიმღობაში ზოგჯერ -ში ბოლოსართიც იჩენს თავს, განსაკუთრებით, ბანძურ-მარტვილური თქმის ზონაში: **ოგვარ-გვალე-ში, ონახუე-ში, ოლონტყე-ში...** ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ამგვარი წარმოების ამოსავალ ფუძეს თვლის მასდარის ფუნქციისად [5], მაგრამ ეს -ში ხშირად გვაქვს სახელისაგან ნაწარმოებ სახელთანაც და, საერთოდ, უფაქსო სახელთანაც: **ომუნჩქე-ში, ოწყე-ში, ოლტე-ში, ნანია-ში, რობუ-ში...**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიღა 24.5.1973)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

П. А. ЦХАДАИА

ПРИЧАСТИЕ БУДУЩЕГО ВРЕМЕНИ В ТОПОНИМИИ ГОРНОЙ МЕГРЕЛИИ

Резюме

Причастие будущего времени мегрельского диалекта занского (мегрело-чанского) языка **ო-ბონ-ალ-ი o-bon-al-i** точно соответствует грузинскому [და]-სა-ბან-ი [da]-sa-ban-i, которое обозначает **объект действия** («то, что должно быть выкупано») и **орудие действия** («то, чем должно быть выкупано»). Такие причастия редко встречаются в топонимии Горной Мегрелии. Специфическими для мегрельского диалекта являются причастия будущего времени **ო-ბონ-უ o-bon-u** («место, где должно быть выкупано», «место, предназначенное для купания») и **ო-გურგინ-ე o-gurgin-e** («место, где гремит вода»). Подобные причастия обозначают **место действия**, т. е. предназначение места и поэтому, в результате топонимической конверсии, часто оказываются в классе собственных имен.

LINGUISTICS

P. A. TSKHADAIA

THE FUTURE TENSE PARTICIPLE IN THE TOPONYMY OF MOUNTAINOUS MEGRELIA

Summary

The Future Tense participle **ო-ბონ-ალ-ი o-bon-al-i** in the Megrelian dialect of the Zan (Megrelian-Chan) language corresponds exactly to the Georgian **და-სა-ბან-ი da-sa-ban-i** denoting *the object of action* ('what must be bathed') and *the instrument of action* ('by means of which it must be bathed'). Such participles occur but seldom in the toponymy of mountainous Megrelia. The Future Tense participles **ო-ბონ-უ o-bon-u** ('the place where something must be bathed', 'the place assigned for bathing') and **ო-გურგინ-ე o-gurgin-e** ('the place where the water roars') are specific to the Megrelian dialect. Such participles denote *the place of action* i. e., assignment of place, thereby being frequently classed among proper names as a result of toponymic conversion.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. არნ. ჩიქობავა. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942.
2. И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иберского) языка. СПб, 1914.
3. არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქკლ, ტ. I, 1950.
4. ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1953, 592.
5. არნ. ჩიქობავა. მასდარისა და მიმდებარის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, ტ. 5.
6. არნ. ჩიქობავა. კანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი, 1936, 177—178.



ლ. ხავთასი

ზმნა როგორც დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზაციის საშუალება მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. ძიძიგურმა 12.5.1973)

ენობრივ ერთეულებს აქვთ როგორც აბსოლუტური, ისე რელაციური თვისებები. რელაციური თვისებები წარმოადგენს აბსოლუტურ თვისებათა გამოვლენის ფორმას. თვისება, რომლითაც ენობრივი ერთეულები გამოიყოფიან განონათქვამის ნაწილად, აბსოლუტური ხასიათისა და არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ წინადადების სტრუქტურაზე. თვისება, რომლითაც ვლინდება ენობრივ ერთეულთა ესა თუ ის სპეციფიკა სინტაქსურ მიმართებებში, რელაციური ხასიათისაა. მათგან, ენობრივ ერთეულებს აქვთ უნარი შეასრულონ ესა თუ ის სტრუქტურული ფუნქცია წინადადებაში და კანონზომიერად მიუერთდნენ სხვა სიტყვებს. სიტყვის ამ უნარს, შეიერთოს ან კავშირი და ამყაროს სხვა სიტყვებთან, ეწოდება ვალენტობა.

ენობრივ ერთეულთა ვალენტობა ლოგიკურ პლანში გამოვლინდება განსაზღვრული სტრუქტურის წინადადებებში, რომლის ენობრივ ოპერატორებს ზმნები წარმოადგენენ, ლოგიკური პრედიკატის არგუმენტებს კი არსებითი სახელები. ე. ი. ობიექტური სამყაროს კანონზომიერებები გამოიხატება არა მარტო ენობრივ ელემენტთა სემანტიკით, არამედ წინადადების აგებულების კანონზომიერებით, ქვემდებარისა და შემასმენლის ფორმითა და ურთიერთმიმართებით. ასეთ წინადადებებს თითოეულ ენაში თავისებური გრამატიკული ფორმა აქვთ და ამიტომ უწოდებენ მათ ლოგიკურ-გრამატიკულ წინადადებებს. ამ ტიპის წინადადებათა ლოგიკური შინაარსი ემყარება ცნებათა ურთიერთდაქვემდებარებას და ძირითადად გამოისახება ასეთი სტრუქტურით: Nominativ + Personalform von sein + Nominativ

Z. B. Stickstoff und Sauerstoff sind chemische Elemente

Z₁

Z₂

მოყვანილ მავალითში Z₁ და Z₂ [1] დაქვემდებარებული ცნებებია. წინადადების მესამე წევრია შემასმენელი, რომელიც დაქვემდებარებას აწესრიგებს, დროისა და მოდლობის კატეგორიებს გამოხატავს. შემასმენელი აქვემდებარებს Z₁ და Z₂ ცნებებს ერთმანეთთან და ამყარებს მათ შორის კავშირს.

დაქვემდებარებული ცნებები (ე. ი. ზმნის „პარტნიორები“) ([2], 238) მეცნიერულ-ტექნიკურ ფრაზათა ძირითადი საშენი მასალაა, ხოლო წინადადების სტრუქტურულ ცენტრსა და მისი სქემის ძირითად განმარტებელს ზმნა წარმოადგენს. ზმნის „პარტნიორთა“ ხვედრითი წონა წინადადებაში ძალიან დიდია. ამიტომ ზმნისა და მისი დაქვემდებარებული სიტყვების ურთიერთობის კანონზომიერებათა გაცნობასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკურ ფრაზათა სპეციფიკის დადგენისათვის.

დაქვემდებარებათა რეალიზაციის სინტაქსური საშუალებები ჩამოაყალიბა ს. ვებერმა ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური, ლიტერატურათმცოდნეობითი და ბელეტრისტული ტექსტების ანალიზის ფონზე [3]. დაქვემდებარება [4] 232, 99) ისეთი შესიტყვებაა, სადაც ქვემდებარე წინადადების სხვა წევრებთან კავშირით გამოხატავს საგანთა თვისებებსა



და მდგომარეობას, ე. ი. თავისი არსით უფრო ზუსტად განისაზღვრება. ამ მიმართების გამოსახატავად ფ. შმიდტი ხმარობს „ლოგიკურ დეტერმინაციას“ ([5], 24) რაც იმაში მდგომარეობს, რომ საგანს ფრაზაში ესა თუ ის თვისება მიეწერება. მაქვემდებარებელ და დაქვემდებარებულ სიტყვებს შორის არსებობს განსაზღვრული ლოგიკური მიმართებანი, რომელიც გარემომცველი სამყაროს საგნებისა და მოვლენების ურთიერთაქვშირის ადექვატურია. მაგალითად sein მიერთებელმა ზმნამ ფრაზაში შეიძლება შესარულოს „ოიგივეობის“ (Identität) $a \equiv b$, „პროპორციულობის“ (Proportionalität) $a \sim d$, „შესატყვისობის“ (Entsprechung) $a \leq b$, b ახასიათებს a -ს, „სუბორდინაციის“ (Subordination) $a + x = b$; a არის b სიდიდის ნაწილი და „უტოლობის“ (Ungleichheit) $a > b$, $a < b$, $a \neq b$ მაქვემდებარებელი ფუნქცია ([6], 92).

დაქვემდებარება შეიძლება იყოს როგორც უშუალო (die unmittelbare vergleichende Zuordnung), ისე შუალობითი (die mittelbare vergleichende Zuordnung) [7]. უშუალო შედარებით დაქვემდებარების დროს ზმნა უშუალოდ გამოხატავს ორ ან რამოდენიმე საგანს შორის მემართებას. ასეთი დაქვემდებარებათა სტრუქტურა გამოისახება ფორმულით: $Z_1 Z_2 + \text{Prädikat}$ ([8], 78).

Z. B. Kalzium gehört zu den Leichtmetallen

$\begin{matrix} & \swarrow & & \searrow \\ & Z_1 & & Z_2 \end{matrix}$

„gehören“ ზმნის მეშვეობით გამოიხატება ერთი საგნის მიერთების თვისება. მეორესთან. ეს ზმნა ქმნის პროცესის აღმნიშვნელ წინადადებას, რომლის შინაარსი ემყარება ნაწილის მთელთან ლოგიკურ მიმართებას. დაქვემდებარებული ცნებებია — ქვემდებარე Z_1 (ნაწილი) და წინდებულიანი დამატება — Z_2 (მთელი).

შუალობითი შედარებით დაქვემდებარება უშუალოსაგან იმით განსხვავდება, რომ მაქვემდებარებელი პირი (Z_3) უშუალოდ მონაწილეობს მოქმედებაში. მაქვემდებარებელი პირი მეცნიერებისა და ტექნიკის ენაში ჩვეულებრივ „man“ და „wir“ ნაცვალსახელიანი კონსტრუქციებით გამოიკვეთება. ასეთი კონსტრუქციები ანონიმური ხასიათისაა, ე. ი. ისინი გვაუწყებენ ფაქტობრივ მონაცემებს ინფორმაციის დასახელების გარეშე. შუალობითი მაქვემდებარებელ ფუნქციას ასრულებს ის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ წოდების აქტს და ექსპერიმენტის აღწერის დროს ექსპერიმენტატორის მიერ შესრულებულ მოქმედებას. შუალობითი შედარებით დაქვემდებარება გამოისახება ფორმულით: $Z_1, Z_2, Z_3 + \text{Prädikat}$

Z. B. Solche Versuchsanordnungen nennt man galvanische Elemente

$\begin{matrix} & \swarrow & & \swarrow & & \searrow \\ & Z_1 & & Z_3 & & Z_2 \end{matrix}$

აღნიშნული წინადადება სტრუქტურისა და კომუნიკაციური ფუნქციის მიხედვით მოქმედებას გამოხატავს. დაქვემდებარება ასეთ წინადადებაში რეალიზდება ანონიმური პირით (Z_3). „nennen“ გამოხატავს წოდების აქტს. ამ ზმნის ვალენტობით სამი პოზიცია იკვლვისხმება: პირველი და მეორე „პარტნიორი“ პირდაპირი დამატებაა (Z_1 და Z_2), ხოლო მესამე „პარტნიორი“ ქვემდებარეა (Z_3).

უშუალო და შუალობით დაქვემდებარებათა ენობრივი რეალობაცია მეტნაკლები რაოდენობით ხორციელდება მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. ასე მაგალითად, ს. ვებერი ზემოხსენებული ლიტერატურის ფონიდან გამოყოფს 8 უშუალო და 12 შუალობითი მაქვემდებარებელი ფუნქციის ზმნას. ს. ვებერის მეთოდზე დაყრდნობით კ. კოლერი გამოყოფს მანქანათმშენებლობის ლექსიკიდან 22 უშუალო და 5 შუალობითი მაქვემდებარებელი ფუნქციის ზმნას. ს. ვებერისა და კ. კოლერის მეთოდის ანალოგიურად ქიმიური ლექსი-



კიდან გამოვყავით 28 უშუალო (sein, heissen, bilden, miteinanderbilden, gehören, bedeuten, zählen, darstellen, verdrängen, entsprechen, dienen, beruhen, sich handeln um, sich umsetzen zu, übergehen, sich unterscheiden von, umfassen, sich aufbauen, bestehen aus, zerfallen, dissoziieren, sich verbinden, sich vereinigen, schmelzen, oxydieren, reduzieren, reagieren, verbrennen) და 19 შუალობითი (nennen, bezeichnen, verstehen, verwenden, benutzen, unterscheiden, erhalten, auflösen, auflösen, hinzufügen, versetzen, abkühlen, erhitzen, erwärmen, verdünnen, ansäuern, mischen, miteinandermischen, neutralisieren, polymerisieren) მაქვემდებარებელი ფუნქციის ზმნა. როგორც ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, უშუალო დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზაცია რაოდენობრივად უფრო ჭარბად ხორციელდება ტექნიკური დარგის მეცნიერებათა ტექსტებში, ვიდრე ჰუმანიტარულში. ეს ნაწილობრივ იმიტაც შეიძლება აიხსნას, რომ ტექნიკაში საგნებს შორის მიმართება ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს, მაშინ როდესაც ფილოსოფიასა, ფსიქოლოგიასა, ეკონომიკასა, ლიტერატურათმცოდნეობასა და ბელეტრისტიკაში წინა პლანზეა ადამიანის სუბიექტური როლი ([10], 161).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევი მასალის ანალიზის საფუძველზე მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტებიდან გამოვყავით 47 მაქვემდებარებელი ფუნქციის ზმნა, აქედან 28 უშუალო და 19 შუალობით დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზატორია ტექსტებში. უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკურ ტექსტებში დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზაციის ეს ციფრობრივი მონაცემები შეფარდებითია, ვინაიდან ექსპერიმენტული კვლევის აღწერის დროს ხშირად გამოიყენება პასივის კონსტრუქციები და ამის შესაბამისად ტექსტებში ზმნების უმეტესი ნაწილი ვნებითი გვარის ფორმით იხმარება. ასეთი კონსტრუქციების მეშვეობით ექსპერიმენტის ობიექტი მეცნიერულ ტექსტებში შეიძლება ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზაცია ექსპერიმენტატორის (Zs) ჩარევით სრულდებოდეს. ამიტომ ერთი და იგივე ზმნა მეცნიერული ინფორმაციის სხვადასხვა უბანზე შეიძლება იყოს როგორც უშუალო, ისე შუალობით დაქვემდებარებათა რეალიზატორი. ასეთი ზმნებია: oxydieren, reduzieren, reagieren, dissoziieren, bilden, verbrennen და ა. შ. უშუალო და შუალობით დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზაციის თავისებურებათა შესწავლისას მეცნიერულ-ტექნიკურ ტექსტებში ჩვენ ძირითადად შემოვიფარგლეთ იმ ზმნებით, რომლებიც ტექსტებში მოქმედებითი გვარის ფორმით გვხვდება. მაშასადამე, უშუალო და შუალობით დაქვემდებარებათა ენობრივი რეალიზაცია მეცნიერული ინფორმაციის სხვადასხვა უბანზე შეიძლება მეტ-ნაკლები რაოდენობით განხორციელდეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 25.5.1973)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

Л. Д. ХАВТАСИ

ГЛАГОЛ КАК СРЕДСТВО ЯЗЫКОВОЙ РЕАЛИЗАЦИИ
ПОДЧИНЕНИЙ В ЯЗЫКЕ НАУКИ И ТЕХНИКИ

Резюме

Рассматривается малоизученный вопрос немецкой лексикологии — подчинительная функция глагола в языке науки и техники.

Глагол в научных текстах может быть реализатором как непосредственного, так и опосредованного подчинения. На основе анализа исследуемого материала из научных текстов выделено 47 глаголов с подчинительной функцией, откуда 28 непосредственно, а 19 опосредованно подчиненных языковых реализаторов. Однако указанные цифровые данные (28 и 19) не могут быть абсолютными, так как один и тот же глагол в зависимости от характера и содержания научной информации может быть реализатором как непосредственных, так и опосредованных подчинений.

LINGUISTICS

L. D. KHAVTASI

THE VERB AS A MEANS OF REALIZING LINGUISTIC
SUBORDINATIONS IN THE LANGUAGE OF SCIENCE AND
TECHNOLOGY

Summary

The subordinating function of the verb in the language of science and technology—a thus far little studied problem of German lexicology—is discussed in the paper.

The verb in German scientific texts may effect both immediate and mediated subordination. 47 subordinating verbs have been identified as a result of an analysis of scientific texts. Of these 28 are immediate and 19 mediated realizers of linguistic subordinations in the language. These numerical data (23 and 19) cannot be absolute, for the same verb may, in various fields of scientific information, serve as an effector of both immediate and mediated subordinations.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. ცნებათა აღნიშვნა ნასესხები გვაქვს ს. ვებერიდან იხ. S. Weber. Syntaktische Möglichkeiten zur Wiedergabe von Zuordnungen. "Wissenschaftliche Zeitschrift der pädagogischen Hochschule. Potsdam, Geselloch-Sprachwiss. Reihe, Sonderheft 1964.
2. ზმნას დაქვემდებარებულ სიტყვებს ლ. ტენიერი „პარტნიორებს“ უწოდებს. იხ. L. Tennifer. Elements de syntaxe structurale. Paris, Librairie C. Klincksieck, 1965.
3. S. Weber. მითით. შრომა.
4. ი. ერბენი ხმარობს ტერმინს "Wesensbestimmung" იხ. J. Erben. Abriss der deutschen Grammatik. Berlin, 1966. 3. გლ 515. "Denksatz" იხ. H. Glinz. Der deutsche Satz. Wortarten und Satzglieder. Düsseldorf, 1957.
5. Fr. Schmidt. Logik der Syntax. Berlin, 1961.
6. C. Köhler. Zur Verwendung des Verbs in technischer Literatur—insbesondere bei der sprachlichen Realisierung von Zuordnungen. "Deutsch als Fremdsprache" 2, 1968.
7. S. Weber. მითით. შრომა; C. Köhler. მითით. შრომა.
8. S. Weber. იქვე.
9. S. Weber. იქვე.
10. C. Köhler. მითით. შრომა.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში
В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკადემიის პრეზიდიუმში
В ПРЕЗИДИУМЕ АКАДЕМИИ

აკადემიის პრეზიდიუმმა ღია სხდომებზე მოისმინა სამეცნიერო მოხსენებები: „უინვალის წყალსაცავის მშენებლობის პრობლემები“ (მომხსენებელი უინვალის წყალსაცავის პროექტის მთავარი ინჟინერი მ. ნადირაძე), „ელენთის მორფო-ფუნქციური თავისებურების კლინიკური მნიშვნელობა“ (მოამბ. სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მ. კომახიძე), „ბოჭკოვანი ოპტიკის ზოგიერთი გამოყენების შესახებ“ (მოამბ. ტექნ. მეცნ. კანდიდატი ხ. გაფრინდაშვილი).

Президиум Академии на открытых заседаниях заслушал научные доклады: «Проблемы строительства Жинвальского водохранилища» (докладчик главный инженер проекта Жинвальского водохранилища М. А. Надирадзе), «Клиническое значение морфо-функциональной особенности селезенки» (докл. академик Академии медицинских наук СССР М. Э. Комахидзе), «О некоторых применениях волоконной оптики» (докл. канд. тех. наук Х. И. Гаприндашвили).



სესიები, კონფერენციები, თათბირები
СЕССИИ, КОНФЕРЕНЦИИ, СОВЕЩАНИЯ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნ. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის, მაღალი ტემპერატურების ინსტიტუტების, მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის, დ. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განგეობის, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებისა და ტექნიკისათვის რიცხვითი მონაცემების შეგროვებისა და შეფასების საბჭოთა ნაციონალური კომიტეტისა და ქიმიური თერმოდინამიკისა და თერმოქიმიის სამეცნიერო საბჭოს თაოსნობით 17—20 სექტემბერს თბილისში ჩატარდა კალორიმეტრიის VI საკავშირო კონფერენცია.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტ ნ. ლანდიას — „მყარ ნივთიერებათა ენთალპიისა და თბოტევადობის ტემპერატურული დამოკიდებულების აპროქსიმაცია შერევის მაღალტემპერატურულ კალორიმეტრებზე ჩატარებული გაზომვით მიღებული მონაცემების მიხედვით“, ტექნ. მეცნ. დოქტ. ვ. კანდიბას,

ტექნ. მეცნ. კანდ. ე. ფომიჩევას, ტექნ. მეცნ. დოქტ. კ. გომელსკის — „მალალი ტემპერატურისას თბოტევადობისა და ენთალპიის ერთეულების გადაცემის სახელმწიფო სისტემის შექმნის საკითხისათვის“, ქიმ. მეცნ. დოქტ. ა. კისელი-ოვის — „მოლეკულათა შორის ურთიერთმოქმედების მოლეკულურ-სტატისტიკური, კალორიმეტრული და ქრომატოგრაფიული გამოკვლევა“, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ე. ანდრონიკაშვილის, ფიზ.-მათ. მეცნ. კანდ. გ. მრეველიშვილის, უმც. მეცნ. თანამშრომლის დ. მონასელიძის — „კალორიმეტრია, ბიოპოლიმერების კონფორმაციული გადასვლები და მოლეკულური ბიოფიზიკის პრობლემები“, ტექნ. მეცნ. კანდ. მ. კოზინის — „ბი- და პოლიციკლური ნახშირწყალბადების წარმოქმნის ენთალპია“, ტექნ. მეცნ. კანდ. ა. კორნილოვის — „IV და V ჯგუფის გარდამავალი ლითონების ქანგეული და კარბიდული ფაზების თერმოქიმია“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის 400-ზე მეტმა მეცნიერმა და სპეციალისტმა.

По инициативе Института неорганической химии и электрохимии АН ГССР, Института общей и неорганической химии им. Н. С. Курнакова АН СССР, Института высоких температур АН СССР, химического факультета МГУ им. М. В. Ломоносова, Грузинского правления Всесоюзного химического общества им. Д. И. Менделеева, Советского национального комитета по сбору и оценке численных данных в области науки и техники АН СССР, Научного совета по химической термодинамике и термохимии в Тбилиси 17—20 сентября состоялась VI Всесоюзная конференция по калориметрии.

На пленарном заседании были заслушаны доклады: члена-корреспондента АН ГССР Н. А. Ландия — «Аппроксимация температурной зависимости энтальпии и теплоемкости твердых веществ по данным измерений на высокотемпературных калориметрах смешения», докт. тех. наук В. В. Кандыба, канд. тех. наук Е. Н. Фомичева, докт. тех. наук К. З. Гомельского — «К вопросу создания государственной системы передачи единиц теплоемкости и энтальпии при высоких температурах», докт. хим. наук А. В. Киселева — «Молекулярно-статистическое, калориметрическое и хроматографическое исследование межмолекулярных взаимодействий», академика АН ГССР Э. Л. Андроикашвили, канд. физ.-мат. наук Г. М. Мрвлишвили, мл. науч. сотр. Д. Р. Монаселидзе — «Калориметрия, конформационные переходы биополимеров и проблемы молекулярной биофизики», канд. тех. наук М. П. Козина — «Энтальпия образования би- и полициклических углеводородов», канд. тех. наук А. Н. Корнилова — «Термохимия окисных и карбидных фаз переходных металлов IV и V групп».

В работе конференции приняло участие более 400 советских и зарубежных ученых и специалистов.

28 აგვისტოს დაბა მესტიაში ჩატარდა აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საანგარიშო სამეცნიერო სესია, მიძღვნილი სვანეთის 1972 წლის კომპლექსური ექსპედიციის მუშაობის შედეგებისადმი.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

სესიაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ისტ. მეცნ. კანდიდატის მ. ჩართოლანის — „სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლები“, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის რ. ყენიას — „უშგულისა და კალას ეკლესიებში დაცული საკურთხევლის წინამდებარე ჯგერები“, ისტ. მეცნ. კანდიდატის ვ. სილოგავას — „ისტორიული საბუთები წმინდა კვირიკისა და ივლიტეს ეკლესიიდან“, უმც. მეცნ. თანამშრომლის შ. ჩართოლანის — „უშგულისა და კალას



გიორგი სახილენის ძე ახვლედიანი
 GEORGIY SARIDANOVICH AKHVELIDZANI

1973 წლის 6 ივლისს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა ენათმეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი სახილენის ძე ახვლედიანი.

გიორგი ახვლედიანი ეკუთვნოდა ქართველ მეცნიერთა პლეადას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა უმაღლეს განათლებას საბჭოთა საქართველოში. გ. ახვლედიანი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის დამაარსებელი და მისი უცვლელი ხელმძღვანელი. მან ჩამოაყალიბა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, მისივე სახელი დაკავშირებულია რესპუბლიკურ საზოგადოება „ცოდნასთან“. გ. ახვლედიანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფკავშირული ხაზით საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სექციას.

ფართო იყო გ. ახვლედიანის მეცნიერული ინტერესები. თითქმის არ არსებობს ჩვენში ლინგვისტური მეცნიერების დარგი, რომელშიც გ. ახვლედიანს მნიშვნელოვანი წვლილი არ ჰქონდეს შეტანილი. მან პირველმა ჩაუყარა ჩვენში საფუძველი თეორიული ენათმეცნიერების საკითხების კვლევას. პირველმა შეისწავლა ქართველურ და კავკასიურ ენათა ფონეტიკის საკითხები და დააფუძნა ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის კვლევის ტრადიცია. მისი ინტერესების სფეროში შედიოდა სანსკრიტი და ძველი სპარსული, ისლური და ფალაური ენები, ინდოევროპული შედარებითი ენათმეცნიერება, ზოგადი

და ექსპერიმენტული ფონეტიკა და ლოგოპედია. ამ დარგებში გიორგი ახვლედიანმა ფუნდამენტური ნაშრომები შექმნა და ჩვენს ქვეყანას მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კადრი აღუზარდა.

გ. ახვლედიანი, როგორც დიდი მეცნიერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ და ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებანი. იგი იყო ფონეტიკის საერთაშორისო და ამერიკის ლინგვისტური საზოგადოებების წევრი.

გიორგი ახვლედიანის — დიდი მეცნიერის, გამოჩენილი მოღვაწის და გულსხმიერი აღმზრდელის სახელს მადლიერებით მოიხსენიებს მრავალი თაობა.


6 июля 1973 года в возрасте 86 лет скончался видный грузинский советский языковед, член-корреспондент АН СССР, действительный член АН Грузинской ССР, профессор Тбилисского государственного университета Георгий Сариданович Ахвледиани.

Г. С. Ахвледиани принадлежал к плеяде грузинских ученых, заложивших основы высшего образования в Советской Грузии. Г. С. Ахвледиани был одним из основателей Тбилисского государственного университета и учредителей Грузинской Академии наук, основателем и бессменным руководителем кафедры общего языкознания Тбилисского государственного университета; с его же именем связано учреждение Грузинского языковедческого общества и Республиканского общества «Знание». По профсоюзной линии в течение нескольких лет Г. С. Ахвледиани руководил секцией научных работников Грузии.

Научные интересы Г. С. Ахвледиани были обширны, почти нет такой сферы в лингвистике, в которую он не внес бы значительного вклада. Он был первым, кто заложил основу в Грузии исследованиям теоретического языкознания, он первым изучил вопросы фонетики картвельских и кавказских языков и ввел традицию исследований в области общей и экспериментальной фонетики. В сферу его научных интересов входили санскрит, древнеперсидский язык, осетинский и пехлеви́йский языки, индоевропейское сравнительное языкознание, общая и экспериментальная фонетика, логопедия. В этих отраслях им созданы фундаментальные труды и воспитано не одно поколение ученых нашей страны.

Деятельность выдающегося ученого и общественного деятеля Г. С. Ахвледиани отмечена орденами Ленина, Октябрьской Революции, Трудового Красного Знамени, «Знак почета». Ему были присвоены почетные звания заслуженного деятеля науки Грузинской ССР и заслуженного деятеля науки Автономной Республики Северной Осетии. Г. С. Ахвледиани был избран членом Международного фонетического общества и Американского лингвистического общества.

Имя Георгия Саридановича — большого ученого, чуткого воспитателя и видного общественного деятеля с благодарностью сохранится в памяти будущих поколений.



გიორგი ვასილის ძე წერეთელი
 GEORGIY VASILYEVICH CERETELI

1973 წლის 9 სექტემბერს 69 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ვასილის ძე წერეთელი.

აკადემიკოსმა გ. წერეთელმა თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე აღზარდა მთელი პლეადა ქართველი აღმოსავლეთმცოდნეებისა. მეცნიერული სიღრმე, მრავალი აღმოსავლური და დასავლური ენების ცოდნა, უაღრესად მდიდარი ერუდიცია და ფართო სამეცნიერო ინტერესები საშუალებას აძლევდა მეცნიერს ნაყოფიერად ემუშავა აღმოსავლეთმცოდნეობისა და ქართველოლოგიის მრავალ კარდინალურ პრობლემაზე. იგი დიდ მუშაობას აწარმოებდა ახალგაზრდა სპეციალისტთა მოსამზადებლად არაბისტიკის, სემიტური და ძველი აღმოსავლური ენების დარგებში. გ. წერეთლის ინიციატივით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მანვე დააარსა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი — საერთაშორისო მნიშვნელობის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო ცენტრი.

მეცნიერის კალამს ეკუთვნის ასამდე ნაშრომი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ფასდაუდებელი შრომები: „საქართველოს მეოხეულის ურარტული ძეგლები“, „არმაზის ბილინგვა“, „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“, „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, რომლებმაც ფართო აღიარება პოვა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

განსაკუთრებულია აკადემიკოს გიორგი წერეთლის ღვაწლი ქართული პოეზიის შედგენის უ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში.

გ. წერეთელი დიდ მეცნიერულ მუშაობას წარმატებით უთავსებდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. იგი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1967—1970) და მისი პრეზიდიუმის წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის წევრი; არჩეული იყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოებისა და პოლონეთის ორიენტალისტთა საზოგადოების წევრად.

საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასა გ. წერეთლის დამსახურება საბჭოთა მეცნიერებისა და ხალხის წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით; მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

აკადემიკოს გ. წერეთლის სახელს მუდამ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებს ქართველი ხალხი.

9 сентября 1973 года в возрасте 69 лет скончался выдающийся ученый, основоположник грузинской школы востоковедения, действительный член АН СССР и АН Грузинской ССР, директор Института востоковедения АН ГССР Георгий Васильевич Церетели.

За 40 лет своей научной и педагогической деятельности он воспитал целую плеяду грузинских ученых-востоковедов. Глубина научных исследований, владение многими восточными и западными языками, огромная эрудиция и широкие научные интересы позволяли ученому плодотворно работать над многими кардинальными проблемами востоковедения и картвелогики. Георгий Васильевич вел большую работу по подготовке молодых специалистов в области арабистики, семитских и древневосточных языков. Г. В. Церетели был инициатором основания факультета востоковедения Тбилисского государственного университета, он же основал Институт востоковедения АН Грузинской ССР и был его бессменным руководителем.

Перу ученого принадлежит около ста печатных работ. Следует особо отметить его бесценные труды: «Урартские памятники Музея Грузии», «Армазская билингва», «Древнейшие грузинские надписи из Палестины», «Метр и рифма в «Вепхისტკაოსани», завоевавшие широкое признание как у нас в стране, так и за ее пределами. Исключительна заслуга академика Г. В. Церетели в установлении и издании академического текста шедевра грузинской поэзии «Витязя в тигровой шкуре» Ш. Руставели.

Огромную научную работу Г. В. Церетели успешно совмещал с разносторонней общественной и государственной деятельностью. Он был вице-президентом (1967—1970) и членом Президиума АН ГССР, а также членом Главной редакции Грузинской советской энциклопедии; был избран почетным членом Королевского азиатского общества Великобритании и Ирландии, Польского общества ориенталистов.

Родина высоко оценила заслуги ученого перед советской наукой и народом. Г. В. Церетели был награжден двумя орденами Трудового Красного Знамени, орденом «Знак почета», медалями. Ему было присвоено почетное звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР. Грузинский народ всегда с большим уважением и любовью будет вспоминать его имя.

ქრონიკა, ინფორმაცია
 ХРОНИКА, ИНФОРМАЦИЯ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. თარხნიშვილის
 სახელობის პრემიის მინიჭება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით 1973 წლის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემია 2500 მანეთის ოდენობით მიენიჭა სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მამია ესედის ძე კომახიძეს (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი) მონოგრაფიისათვის „ელენთა“ (1971 წ.).

მონოგრაფიაში გაშუქებულია ელენთის მორფოლოგიისა და ფუნქციის საკითხები, აგრეთვე ელენთის სისხლძარღვები, მთლიანად პორტალური სისტემა და მათი შესწავლის შედეგები, კვლევის ახალი ნუთოდების გამოყენებით, გასტროდუოდენალური სისხლდენის დროს.

განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხი ჰიპერსპლენიზმისა და დამატებითი ელენთების შესახებ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქირურგიულ და ჰემატოლოგიურ პრაქტიკაში.

ავტორი ექსპერიმენტული და კლინიკური გამოკვლევის საფუძველზე ასაბუთებს ელენთის არტერიის გადაკვანძვის აუცილებლობას ისეთი დაავადების დროს, როგორცაა ვერლხოფის დაავადება, ჰემოლიზური სიყვიითლე და სხვა. მ. კომახიძის მიერ ეს მეთოდი გამოყენებულია კლინიკურ პრაქტიკაში.

ПРИСУЖДЕНИЕ ПРЕМИИ ИМЕНИ И. Р. ТАРХНИШВИЛИ
 АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Постановлением Президиума АН Грузинской ССР премия имени И. Р. Тархнишвили за 1973 год в размере 2500 рублей присуждена академику Академии медицинских наук СССР Мамии Эседовичу Комахидзе (Тбилисский государственный медицинский институт) за монографию «Селезенка» (1971 г.).

В монографии освещены вопросы морфологии и функции селезенки, исследованы кровеносные сосуды селезенки и портальная система в целом, приведены результаты их исследования новыми методами при гастродуоденальном кровотечении.

Особого внимания заслуживает вопрос о гиперспленизме и добавочных селезенках, имеющий большое значение в хирургической и гематологической практике.

На основании экспериментальных и клинических исследований автор обосновал необходимость перевязки селезеночной артерии при таких заболеваниях, как заболевание Верлхофа, гемолитическая желтуха и др. Этот метод М. Э. Комахидзе использует в клинической практике.

◇ ◇ ◇

სსპადასსპა
 РАЗНОЕ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ატარებს დათვლიერება-კონკურსს საუკეთესო გამოგონებაზე, რომელიც მიმართულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისაკენ.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილ იქნეს გამოგონებები, რომლებსაც აღდგენს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნებისმიერი დაწესებულება. გამოგონების წარმოდგენა შეუძლია აკადემიის დაწესებულების ყველა თანამშრომელს, მიუხედავად იმისა, თუ რა სამეცნიერო ხარისხი აქვს ან რა თანამდებობა უკავია.

კონკურსზე მიიღება მეცნიერებისა და ტექნიკის ნაშრომები, რომლებიც მიმართულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესების, წარმოების ტექნიკური სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების გაზრდისაკენ (მიუხედავად თემატიკისა).

კონკურსში გამარჯვებულთათვის დადგენილია პრემიები: ერთი პირველი — 600 მანეთის ოდენობით, სამი მეორე — თითოეული 400 მანეთის ოდენობით, ხუთი მესამე — თითოეული 300 მანეთის ოდენობით.

ნაშრომებს, საქირო საბუთების თანდართვით, კონკურსში მონაწილეობისათვის წარადგენენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში შექმნილი შემრჩევი კომისიები.

სამუშაოები მიიღება 1973 წლის 10 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. 8, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საპატენტო ბიურო.

Академия наук Грузинской ССР проводит смотр-конкурс на лучшее изобретение, направленное на улучшение научно-исследовательских работ, техническое совершенствование производства и повышение производительности труда.

На конкурс могут быть представлены изобретения, заявителями которых являются любые организации Академии наук Грузинской ССР. Изобретения имеют право представить все сотрудники учреждений Академии независимо от степени, звания и занимаемой должности.

На конкурс принимаются работы в области науки и техники независимо от разрабатываемой тематики, направленные на улучшение научно-исследовательских работ, техническое совершенствование производства и повышение производительности труда.

Для премирования победителей устанавливаются следующие премии: одна первая — 600 рублей, три вторые — 400 рублей каждая, пять третьих — 300 рублей каждая.

Работы на конкурс представляются с приложением необходимых документов отборочными комиссиями институтов Академии наук ГССР.

Работы принимаются до 10 декабря 1973 года по адресу: г. Тбилиси, ул. Дзержинского, 8, Патентное бюро Президиума АН Грузинской ССР.

15 ივნისიდან 23 ივნისამდე რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ქ. იასის წიგნის ცენტრალურ მაღაზიაში მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ წიგნების გამოფენა.

გამოფენის მომზადებას და მის მუშაობას ხელმძღვანელობდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ქ. იასის ფილიალის დირექტორი აკად. ქრისტეფორე სემიონესკუ. გამოფენას ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები: გამომცემლობა „ნაუკას“ მთავარი რედაქტორი ა. სახაროვი და გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორი შ. შენგელია. გამოფენაზე წარდგენილ იქნა 120 დასახელების ქართული სამეცნიერო წიგნი. გამოფენა დაათვალიერა ხუთი ათასამდე კაცმა.

С 15 по 23 июня в Центральном книжном магазине г. Яссы Социалистической Республики Румынии состоялась выставка книг Издательства «Мецниереба» АН Грузинской ССР.

Подготовкой выставки и ее работой руководил директор филиала АН Социалистической Республики Румынии в г. Яссы академик Христофор Семионеску. На выставке присутствовали главный редактор Издательства «Наука» А. И. Сахаров и директор Издательства «Мецниереба» Ш. И. Шенгелия. На выставке были представлены грузинские научные книги 120 названий. Выставку посетило около пяти тысяч человек.

გამოიწვირეთ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოაგავი“

ჩვენი ქვეყნის ხალხი დაუცხრომლად იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ყველასათვის ნათელია მეცნიერების როლი ამ დიადი საქმეების განხორციელებისათვის ბრძოლაში, მეცნიერული კვლევის შედეგების მნიშვნელობა სამრეწველო და სასოფლო წარმოების, სახალხო მეურნეობის, კულტურული მშენებლობის ყველა დარგის აღმავლობისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთავარ ყოველთვიურ ჟურნალში — „მოამბეში“ ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენაზე აკადემიის წევრთა, აკადემიის ინსტიტუტებში, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერთა მნიშვნელოვანი გამოკვლევების ახალი შედეგები მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოგრაფია-გეოლოგიის, ტექნიკის, ბიოლოგიის, ექსპერიმენტული მედიცინის, მეცნიერების ისტორიის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგებში. ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებს აგრეთვე ინფორმაციას აკადემიის საქმიანობაზე, მის კავშირზე წარმოებასთან, ცნობებსა და ანგარიშებს სამეცნიერო კონფერენციებზე, სამეცნიერო ცხოვრების მნიშვნელოვანი ამბების ქრონიკას და სხვ.

ჟურნალი, რომლის ყოველთვიური ნომრის მოცულობა 16 თაბახია და ღირებულება 1 მანეთი, საინტერესო და საჭიროა მეცნიერ მუშაკათათვის, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლებისათვის, ასპირანტებისათვის, სამრეწველო საწარმოთა ინჟინრებისათვის, სახალხო მეურნეობის მუშაკათათვის.

ხელისმყოფერა ჟურნალზე (წლიური ღირებულება—12 ნომრისა—12 მანეთი) წარმოებს „სოიუზპენსატის“ განყოფილებაში.

ა ვ ტ ო რ თ ა ს ა უ შ რ ა ლ ე ბ ო ლ

1. ჟურნალ „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“ ქვეყნდება აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა, აკადემიის სისტემაში მომუშავე და სხვა მეცნიერთა მოკლე წერილები, რომლებიც შეიცავს ახალ მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჭერ გამოუქვეყნებელ შედეგებს. წერილები ქვეყნდება მხოლოდ იმ სამეცნიერო დარგებიდან, რომელთა ნომენკლატურული სია დამტკიცებულია აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

2. „მოამბეში“ არ შეიძლება გამოქვეყნდეს ბოლემიკური წერილი, აგრეთვე მიმოხილვით ან აღწერითი ხასიათის წერილი ცხოველთა, მცენარეთა ან სხვათა სისტემატიკაზე, თუ მასში მოცემული არაა მეცნიერებისათვის განსაკუთრებით საინტერესო შედეგები.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და წევრ-კორესპონდენტთა წერილები უშუალოდ გადაეცემა გამოსაქვეყნებლად „მოამბის“ რედაქციას, ხოლო სხვა ავტორთა წერილები ქვეყნდება აკადემიკოსთა ან წევრ-კორესპონდენტთა წარდგინებით. როგორც წესი, აკადემიკოს ან წევრ-კორესპონდენტს „მოამბეში“ დასაბუქდად წელიწადში შეჰქონდა წარმოდგენის სხვა ავტორთა არაუმეტეს 12 წერილისა (მხოლოდ თვისი სპეციალობის მიხედვით), ე. ი. თითოეულ ნომერში თითო წერილი. საკუთარი წერილი — რამდენიც სურს, ხოლო თანაავტორებთან ერთად — არაუმეტეს სამი წერილისა. გამოწყლის შემთხვევაში, როცა აკადემიკოსი ან წევრ-კორესპონდენტი მოითხოვს 12-ზე მეტი წერილის წარდგენას, სპეციალურ წყვეტს მთავარი რედაქტორი. წარდგინების გარეშე შემოსულ წერილს „მოამბის“ რედაქცია წარმოსადგენად გადასცემს აკადემიკოსს ან წევრ-კორესპონდენტს. ერთსა და იმავე ავტორს (გარდა აკადემიკოსისა და წევრ-კორესპონდენტისა) წელიწადში შეუძლია „მოამბეში“ გამოაქვეყნოს არა უმეტეს სამი წერილისა (სულ ერთია, თანაავტორებთან იქნება იგი, თუ ცალკე).

4. წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, დასაბუქდად სავერტი მზა სახით, ავტორის სურვილისამებრ ქართულ ან რუსულ ენაზე, ქართულ ტექსტს თან უნდა ახლდეს რუსული და მოკლე ინგლისური რეზიუმე, ხოლო რუსულ ტექსტს — ქართული და მოკლე ინგლისური რეზიუმე. წერილის მოცულობა ილუსტრაციებითურთ, რეზიუმეებითა და დამოწმებული ლიტერატურის ნუსხითურთ, რომელიც მას ბოლოში ერთვის, არ უნდა აღემატებოდეს ჟურნალის 4 გვერდს (8000 სასტამპო ნიშანი), ანუ საწერ მანქანაზე ორი ინტერვალით გადაწერილ 6 სტანდარტულ გვერდს (ფორმულებიანი წერილი კი 5 გვერდს). არ შეიძლება წერილების ნაწილებად დაყოფა სხვადასხვა ნომერში გამოსაქვეყნებლად. ავტორისაგან რედაქციაღებულს თვეში მხოლოდ ერთ წერილს.

5. აკადემიკოსთა ან აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა წარდგინება რედაქციის სახელზე დაწერილი უნდა იყოს ცალკე ფურცელზე წარდგინების თარიღის აღნიშვნით. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა არის ახალი წერილში, რა მეცნიერული ღირებულება აქვს მას და რამდენად უპასუხებს ამ წესების 1 მუხლის მოთხოვნას.

6. წერილი არ უნდა იყოს გადატვირთული შესავლით, მიმოხილვით, ცხრილებით, ილუსტრაციებითა და დამოწმებული ლიტერატურით. მასში მთავარი ადგილი უნდა ჰქონდეს დამოხილვი საკუთარი გამოკვლევის შედეგებს. თუ წერილში გზადგება, ქვეთავების მიხედვით გადმოცემულია დასკვნები, მაშინ საჭირო არაა მათი განმეორება წერილის ბოლოს.

7. წერილი ასე ფორმდება: თავში ზემოთ უნდა დაიწეროს ავტორის ინიციალები და გვარი, ქვემოთ — წერილის სათაური. ზემოთ მარჯვენა მხარეს, წარმოდგენა უნდა წააწეროს, თუ მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება წერილი. წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოს, მარცხენა მხარეს, ავტორმა უნდა აღნიშნოს იმ დაწესებულების სრული სახელწოდება და ადგილმდებარეობა, სადაც შესრულებულია შრომა.

8. ილუსტრაციები და ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნეს თითო ცალად კონვერტით. ამასთან, ნახაზები შესრულებული უნდა იყოს კალკაზე შავი ტუშით, წარწერები ნახაზებს უნდა გაუკეთდეს კალიგრაფიულად და ისეთი ზომისა, რომ შემმცირების შემთხვევაშიც კარ-



გად იკითხებოდეს. ილუსტრაციების ქვემო წარწერების ტექსტი წერილის ძირითად ტექსტს ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ფურცელზე. არ შეიძლება ფოტოების აღწერების დაწებება დედნის გვერდებზე. ავტორმა დედნის კიდეზე ფანქრით უნდა აღნიშნოს, რა ადგილას მოთავსდეს ესა თუ ის ილუსტრაცია. არ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ისეთი ცხრილი, რომელიც ეურნალის ერთ გვერდზე ვერ მოთავსდება. ფორმულები მელნით ყველით უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტის ორივე ვგზემულარში; ბერძნულ ასოებს ქვემოთ ვგელებზე უნდა გაეცეს თითო ხაზი წითელი ფანქრით, მთავრულ ასოებს — ქვემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით, ხოლო არამთავრულ ასოებს — ზემოთ ორ-ორი პატარა ხაზი შავი ფანქრით. ფანქრითვე უნდა შემოიფარგლოს ნახევარწრივ ნიშნავებიც (ინდექსები და ხარისხის მაჩვენებლები). რეზიუმეები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალ-ცალკე ფურცლებზე. წერილში არ უნდა იყოს ჩასწორებები და ჩამატებები ფანქრით ან მელნით.

9. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დაიბეჭდოს ცალკე ფურცელზე. საჭიროა დაცულ იქნეს ასეთი თანმიმდევრობა: ავტორის ინიციალები, გვარი. თუ დამოწმებულია საქურნალო შრომა, ვუჩვენეთ ეურნალის შემოკლებული სახელწოდება, ტომი, ნომერი, გამოცემის წელი. თუ დამოწმებულია წიგნი, აუცილებელია ვუჩვენოთ მისი სრული სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი. თუ ავტორი საჭიროდ მიიჩნევს, ბოლოს შეუძლია გვერდების ნუმერაციაც უჩვენოს. დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს არა ანბანური წესით, არამედ დამოწმების თანმიმდევრობით. ლიტერატურის მისათითებლად ტექსტსა თუ შენიშვნებში ევადრატულ ფრჩხილებში ნაჩვენებია უნდა იყოს შესაბამისი ნომერი დამოწმებული შრომისა. არ შეიძლება დამოწმებული ლიტერატურის ნუსხაში შევიტანოთ ისეთი შრომა, რომელიც ტექსტში მითითებული არ არის. ასევე არ შეიძლება გამოუქვეყნებელი შრომის დამოწმება. დამოწმებული ლიტერატურის ბოლოს ავტორმა უნდა მოაწეროს ხელი, აღნიშნოს სად მუშაობს და რა თანამდებობაზე, უჩვენოს თავისი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

10. „მოამბეში“ გამოქვეყნებული ყველა წერილის მოკლე შინაარსი იბეჭდება რეფერატულ ეურნალებში. ამიტომ ავტორმა წერილთან ერთად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მისი რეფერატი რუსულ ენაზე (ორ ცალად).

11. ავტორს წასაკითხად ეძლევა თავისი წერილის გვერდებზე შეკრული კორექტურა მკაცრად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ორი დღისა). თუ დადგენილი ვადისათვის კორექტურა არ იქნა დაბრუნებული, რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. ავტორს უფასოდ ეძლევა თავისი წერილის 25 ამონაბეჭდი.

(დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

პრეზიდიუმის მიერ 10.10.1968; შეტანილია ცვლილებები 6.2.1969)

რედაქციის მისამართი: თბილისი 60, კუტუზოვის ქ. № 19; ტელ. 37-22-16, 37-93-42.

საფოსტო ინდექსი 380060

ხ ე ლ მ ი წ ე რ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ ი: ერთი წლით 12 მან.

ЭДЛО 1 836.
ЦЕНА 1 РУБ.

ИНДЕКС 76181

